



USAID
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური
ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №22
ივლისი, 2021

თბილისი, 2021

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორი:

ნანუკა ყრუაშვილი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №22 ბიულეტენს, სადაც აღწერილია ივლისში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მისი წევრების არჩევა

1-ლ ივლისს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ თანამდებობა დატოვა.¹ მისი განცხადებით, ვინაიდან შარლ მიშელის შეთანხმების მიხედვით მიღებულმა საარჩევნო ცვლილებებმა „ახალი რეალობა მოიტანა“, თავმჯდომარის ახალი წესით არჩევა ხელს შეუწყობდა ფართო პოლიტიკურ თანხმობას.²

თამარ ჟვანიას გადადგომას საია სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთობლივი განცხადებით გამოეხმაურა.³ ორგანიზაციების აზრით, შესაძლებელი იყო, ამ გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონოდა 2021 ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო პროცესების მიმართ ნდობის ამაღლებაზე.⁴ გარდა ამისა, მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებს შორის მაქსიმალური კონსენსუსის საფუძველზე, ცესკოს ახალი თავმჯდომარისა და სხვა პროფესიული წევრების ვაკანტურ პოზიციებზე ისეთი მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და მიუკერძოებელი პირები უნდა შერჩეულიყვნენ, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობას გაზრდიდნენ.⁵

კანონის თანახმად, 1-ლ ივლისს ქვეყნის პრეზიდენტმა თავმჯდომარის ახალი კანდიდატის შესარჩევად ღია კონკურსი გამოაცხადა და საკონკურსო კომისია შექმნა.⁶ კომისიის შემადგენლობაში აკადემიური სფეროს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შევიდნენ.⁷ მათ შორის იყო საიაც.⁸ საკონკურსო კომისიამ 9 ივლისს პრეზიდენტს ცესკოს თავმჯდომარის პოზიციაზე ორი, ხოლო პროფესიული წევრის ორ ვაკანტურ ადგილზე 5 კანდიდატი წარუდგინა.⁹ მნიშვნელო-

¹ „თამარ ჟვანია თანამდებობას ტოვებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 30 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/429910>, განახლებულია: 10.08.2021.

² თამარ ჟვანიას განცხადება, თამარ ჟვანიას ოფიციალური „Facebook“ გვერდი, 2021 წლის 30 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37x0FIG>, განახლებულია: 10.08.2021.

³ „არჩევნებზე მომუშავე ორგანიზაციები ეხმარებიან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომას“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 30 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3jIzZ7c>, განახლებულია: 10.08.2021.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

⁶ „საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება ცესკოს თავმჯდომარეობისა და ცესკოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 1-ლი ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37yyC5A>, განახლებულია: 10.08.2021.

⁷ იქვე.

⁸ იქვე.

⁹ „პრეზიდენტთან შექმნილმა კომისიამ ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატები შეარჩია“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 9 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/431323>, განახლებულია: 10.08.2021.

ვანია, რომ კომისიაში შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატებს მხარი მხოლოდ სამოქალაქო მოძრაობა - მრავალეროვანმა საქართველომ დაუჭირა.¹⁰

12 ივლისს პრეზიდენტმა პარლამენტს ცესკოს თავმჯდომარის ორი, ხოლო წევრობის ოთხი კანდიდატი წარუდგინა.¹¹ საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, ცესკოს წევრის და თავმჯდომარის არჩევისას ამოქმედდა ანტიკორიზისული მექანიზმი, რომლის შემოღებას 19 აპრილის შეთანხმება ითვალისწინებდა.¹² ამ მექანიზმის მიხედვით, თუ პირველ ჯერზე ვერ შეგროვდებოდა ხმები, კანდიდატს მეორე (2/3 ხმების უმრავლესობით), მესამე (3/5 ხმების უმრავლესობით), მეოთხე (უბრალო უმრავლესობით) ჯერზე ეყრებოდა კენჭი.¹³ პარლამენტმა, სამი მცდელობის მიუხედავად, ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევა ვერ შეძლო.¹⁴ კანდიდატების შესარჩევად პირველი რიგგარეშე სესიის პლენარული სხდომა 18 ივლისს გაიმართა.¹⁵ ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენილი გიორგი კალანდარიშვილის კანდიდატურა, 82 მომხრით 8-ის წინააღმდეგ, ვერ გავიდა, ხოლო გიორგი სანტურიანს მხარი მხოლოდ ორმა დეპუტატმა დაუჭირა ათის წინააღმდეგ.¹⁶ ცესკოს წევრობის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილ გია ცაცაშვილს მხარი 80-მა დეპუტატმა დაუჭირა 9-ის წინააღმდეგ, ლელა ტალიურს კი - 16-მა 1-ის წინააღმდეგ.¹⁷ წევრობის მეორე ვაკანტურ პოზიციაზე ხმები შემდეგნაირად განაწილდა: მაია ზა-

¹⁰ იქვე.

¹¹ თავმჯდომარის პოზიციაზე პრეზიდენტმა წარადგინა გიორგი კალანდარიშვილისა და გიორგი სანტურიანის კანდიდატურები, ხოლო ცესკოს წევრების ვაკანტურ პოზიციებზე გია ცაცაშვილი, ლელა ტალიური, თამარა სართანია და მაია ზარიძე. იხ. „პრეზიდენტმა პარლამენტს ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე გიორგი კალანდარიშვილისა და გიორგი სანტურიანის კანდიდატურები წარუდგინა“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 12 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yDvaCi>, განახლებულია: 10.08.2021.

¹² მარიამ ლაცაბიძე, „რას (არ) უნდა ველოდოდ 2 ოქტომბრის არჩევნებისგან?“, *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 22 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2VFGmA2>, განახლებულია: 10.08.2021.

¹³ იქვე.

¹⁴ „პარლამენტმა ცესკოს თავმჯდომარე ვერ აირჩია“, *საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“*, 2021 წლის 18 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31364644.html>, განახლებულია: 10.08.2021; „ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის და წევრობის კანდიდატებმა პარლამენტისგან საჭირო მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს“, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 18 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3AtJTjX>, განახლებულია: 10.08.2021; „ცესკოს თავმჯდომარეობის და წევრობის კანდიდატებმა პარლამენტისგან საჭირო მხარდაჭერა კვლავ ვერ მოიპოვეს“, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 22 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3AvoHKe>, განახლებულია: 10.08.2021; „პარლამენტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების ასარჩევად წარმოდგენილ კანდიდატურებს კენჭი უყარა“, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 26 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Aut8VL>, განახლებულია: 10.08.2021.

¹⁵ „ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის და წევრობის კანდიდატებმა პარლამენტისგან საჭირო მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს“, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 18 ივლისი.

¹⁶ გიორგი კალანდარიშვილს ხმა მისცა ორმა ფრაქციამ „ქართულმა ოცნებამ“ და პოლიტიკურმა ჯგუფმა „ევროპელმა სოციალისტებმა“, ხოლო ფრაქციებმა „ლელო“ - პარტნიორობა საქართველოსთვის“ და „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფმა“, ასევე ფრაქციის გარეშე ერთმა დეპუტატმა მის კანდიდატურას მხარი არ დაუჭირეს. გიორგი სანტურიანს მხარი დაუჭირა ორმა დეპუტატმა ფრაქცია „ქართული ოცნებიდან“, ხოლო მისი კანდიდატურის წინააღმდეგ ხმა მისცეს დეპუტატებმა ფრაქციებიდან: „ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის“, „ქართული ოცნება“, „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“, ასევე, ფრაქციის გარეშე ერთმა დეპუტატმა. იხ. „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ გიორგი კალანდარიშვილის არჩევის საკითხი (N2-9856/21/10, 16-07-2021)“, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 18 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3jze7ek>, განახლებულია: 10.08.2021; „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ გიორგი სანტურიანის არჩევის საკითხი (N2-9856/21/10, 16-07-2021)“, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 18 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3IQJBQ2>, განახლებულია: 10.08.2021.

¹⁷ გია ცაცაშვილს მხარი დაუჭირეს დეპუტატებმა ფრაქცია „ქართული ოცნებიდან“, ხოლო მის წინააღმდეგ ხმა მისცეს დეპუტატებმა შემდეგი ფრაქციებიდან: „ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის“, „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“ და ერთი დეპუტატი ფრაქციის გარეშე. ლელა ტალიურს მხარი დაუჭირეს შემდეგმა ფრაქციებმა: „ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის“, პოლიტიკური ჯგუფი „გირჩი“, პოლიტიკური ჯგუფი „მოქალაქეები“, „ქართული ოცნება“, „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“ და ერთი დეპუტატი ფრაქციის გარეშე. მის წინააღმდეგ ხმა მისცა ერთმა დეპუტატმა „ქართული ოცნებიდან“. იხ. „წარდგინება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად გია ცაცაშვილის არჩევის საკითხი სხდომაზე განსახილველი პროექტი (N2-9854/21/10, 16.07.2021), კენჭისყრის შედეგები,

რიდეს მხარი პარლამენტის 81-მა წევრმა დაუჭირა 8-ის წინააღმდეგ, ხოლო თამარ სართანიას - 16-მა 27-ის წინააღმდეგ.¹⁸ 22 ივლისს რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე პარლამენტმა მეორედ უყარა კენჭი კანდიდატებს.¹⁹ თუმცა, ამ შემთხვევაშიც მათ არასაკმარისი ხმები დააგროვეს. გიორგი კალანდარიშვილის კანდიდატურას ცესკოს თავმჯდომარეობისთვის მხარი 83-მა დეპუტატმა დაუჭირა 11-ის წინააღმდეგ, ხოლო გიორგი სანტურიანმა 4 დეპუტატის მხარდაჭერა მიიღო 11-ის წინააღმდეგ.²⁰ წევრობის ვაკანტურ პოზიციებზე გია ცაცაშვილს მხარი 83-მა დეპუტატმა დაუჭირა 10-ის წინააღმდეგ; ლელა ტალიურს და თამარ სართანიას - 18-მა 2-ის წინააღმდეგ, ხოლო მაია ზარიდეს - 77-მა 10-ის წინააღმდეგ.²¹ 26 ივლისს რიგგარეშე სესიის სხდომაზე პარლამენტმა ცესკოს თავმჯდომარეობის და წევრობის კანდიდატებს მესამედ უყარა კენჭი, მაგრამ მათი არჩევა ვერც ხმების 3/5-ით (90 ხმიანი კვორუმი) ვერ შეძლო.²² თავმჯდომარეობის კანდიდატ გიორგი კალანდარიშვილს 81-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი 7-ის წინააღმდეგ; გიორგი სანტურიანს კი - 3-მა 8-ის წინააღმდეგ.²³ პროფესიული წევრობის ვაკანტურ პოზიციებზე გიორგი ცაცაშვილს მხარი 77-მა დეპუტატმა დაუჭირა, ხოლო 7-მა მის წინააღმდეგ მისცა ხმა; ლელა ტალიურის კანდიდატურას 17 მომხრე ჰყავდა არცერთის წინააღმდეგ; თამარ სართანიამ 14 ხმა მიიღო 5-ის წინააღმდეგ; მაია ზარიდემ კი - 78 ხმა 5-ის წინააღმდეგ.²⁴

საკანონმდებლო ორგანო კანდიდატების არჩევას კიდევ ერთხელ, აგვისტოში შეეცდება.

„შარლ მიშელის“ შეთანხმების დატოვება „ქართული ოცნების“ მიერ

28 ივლისს „ქართულმა ოცნებამ“ 19 აპრილის შეთანხმება დატოვა.²⁵ ეს გადაწყვეტილება პარტიამ ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის საქართველოში ვიზიტიდან რამდენიმე დღეში მიიღო.²⁶ ევროპული საბჭოს პრეზიდენტი საქართველოში საერთაშორისო კონფერენციაზე და-

საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 18 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iz58uw>, განახლებულია: 10.08.2021; „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად ლელა ტალიურის არჩევის საკითხი (№ 07-1/7/10, 09-07-2021)“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 18 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xyGLBy>, განახლებულია: 10.08.2021.

¹⁸ თამარ სართანიას კანდიდატურის მომხრე ფრაქციები: „ლელა - პარტნიორობა საქართველოსთვის“, პოლიტიკური ჯგუფი „ევროპელი სოციალისტები“, პოლიტიკური ჯგუფი „გიორჩი“, პოლიტიკური ჯგუფი „მოქალაქეები“, „ქართული ოცნება“, „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“ და ორი დეპუტატი ფრაქციის გარეშე; ხოლო წინააღმდეგი იყვნენ 27 დეპუტატი ფრაქცია „ქართული ოცნებიდან“. მაია ზარიდის კანდიდატურის მომხრე ფრაქციები: „ქართული ოცნება“, წინააღმდეგი: „ლელა - პარტნიორობა საქართველოსთვის“, „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“ და ერთი დეპუტატი ფრაქციის გარეშე. „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად თამარ სართანიას არჩევის საკითხი (N2-9854/21/10, 16-07-2021)“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 18 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CzrmVm>, განახლებულია: 10.08.2021; „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად მაია ზარიდის არჩევის საკითხი (N2-9854/21/10, 16-07-2021)“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 18 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37u9ehh>, განახლებულია: 10.08.2021.

¹⁹ „ცესკოს თავმჯდომარეობის და წევრობის კანდიდატებმა პარლამენტისგან საჭირო მხარდაჭერა კვლავ ვერ მოიპოვეს“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 22 ივლისი.

²⁰ პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე არ არის ზუსტი და დეტალური ინფორმაცია მოცემული კენჭისყრის შედეგების შესახებ.

²¹ იქვე.

²² „პარლამენტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების ასარჩევად წარმოდგენილ კანდიდატურებს კენჭი უყარა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 26 ივლისი.

²³ პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე არ არის ზუსტი და დეტალური ინფორმაცია მოცემული კენჭისყრის შედეგების შესახებ. „პარლამენტმა ცესკოს თავმჯდომარე ვერც მესამე ცდაზე აირჩია“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 26 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31377485.html>, განახლებულია: 10.08.2021.

²⁴ იქვე.

²⁵ „ქართული ოცნება 19 აპრილის შეთანხმებას ტოვებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 28 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/434261>, განახლებულია: 10.08.2021.

²⁶ „შარლ მიშელი საქართველოს სტუმრობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 19 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/432820>, განახლებულია: 10.08.2021.

სასწრებად ჩამოვიდა და ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, მმართველი პარტიის და ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა.²⁷ შარლ მიშელთან შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ „მოტივირებული“ იყო და ასრულებდა 19 აპრილის შეთანხმებას მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის.²⁸ თუმცა, 28 ივლისს „ქართულმა ოცნებამ“ ევროპული საბჭოს პრეზიდენტის მედიაციით შეთანხმებული დოკუმენტი ანულირებულად გამოაცხადა.²⁹ პარტიის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განმარტებით, ვინაიდან ოპოზიციის ნაწილმა შეთანხმების ხელმოწერაზე უარი განაცხადა და, ამასთანავე, „ქართულმა ოცნებამ“ „პირნათლად შეასრულა“ დოკუმენტის თითოეული პუნქტი, ისინი შეთანხმებაში დარჩენის აზრს ვეღარ ხედავდნენ.³⁰ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ მათივე „კეთილი ნებით“ რიგგარეშე არჩევნები არათუ ხმების 43 პროცენტის, არამედ 53 პროცენტის მიღების შემთხვევაშიც დაინიშნებოდა, თუკი ოპოზიციური პარტიების ქცევიდან ნათელი იქნებოდა, რომ „პოლიტიკური სისტემა ეფექტიანი კოალიციური მმართველობისთვის მომნიშვნელო [იყო] და სახელმწიფოს მართვის ამგვარი რეჟიმი მის ინტერესებს არ დააზიანებ[და]“. ³¹ ეს პირობა, ფაქტობრივად, ობიექტურ კრიტიკრიუმს აცლიდა შეთანხმების იმ ნაწილს, რომელიც რიგგარეშე არჩევნებს გულისხმობდა და მას მმართველი პარტიის სუბიექტურ შეხედულებებზე ხდიდა დამოკიდებულს.

„ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებას მწვავე რეაქციები მოჰყვა ოპოზიციისგან.³² ამ ნაბიჯის საპასუხოდ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა ნიკა მელიამ პარლამენტი დატოვა.³³ თუმცა, მისი განცხადებით, პარტიის დეპუტატები განაგრძობდნენ საკანონმდებლო ორგანოში საქმიანობას.³⁴ პარლამენტი დატოვა „გირჩი – მეტი თავისუფლების“ ლიდერმა ზურა ჯაფარიძემაც.³⁵ მისი განმარტებით, „ქართული ოცნების“ შეთანხმებიდან გასვლა ქვეყნის ევროატლანტიკურ მომავალზე უარის თქმის ტოლფასი იყო.³⁶ მის მიერ საკანონმდებლო ორგანოში მანდატის ათვისება 19 აპრილის შეთანხმების ვალდებულების ნაწილი იყო, ხოლო, ვინაიდან შეთანხმება ანულირდა, აღარ არსებობდა პარლამენტში დარჩენის ვალდებულება.³⁷

„ქართული ოცნების“ ნაბიჯი გააკრიტიკეს არასამთავრობო ორგანიზაციებმაც და საერთაშორისო პარტნიორებმაც.

29 ივლისს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ განცხადებაში აღნიშნა, რომ აშშ „ძალზედ შენუხებული და გაბრაზებული“ იყო პარტიის მიერ გადადგმული ნაბიჯით.³⁸ ეს გადაწყვეტილება ქმნიდა კიდევ უფრო მეტ პოლიტიკურ არასტაბილურობას და ეჭვქვეშ აყენებდა „ქართული ოცნების“ ერთგულებას საქართველოს დემოკრატიული მიზნების მიღწევისადმი.³⁹ საელჩომ ხაზი გაუსვა, რომ შეთანხმება იყო მნიშვნელოვანი გზამკვლევი საქართველოში გასატარებელი რეფორმებისთვის და მხოლოდ ერთი პარტიის ცალმხრივი მოქმედების შედეგად გატარე-

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე.

²⁹ „ქართული ოცნება 19 აპრილის შეთანხმებას ტოვებს“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 28 ივლისი.

³⁰ იქვე.

³¹ იქვე.

³² „19 აპრილის შეთანხმებიდან „ქართული ოცნების“ გასვლას ოპოზიციის კრიტიკა მოჰყვა“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 28 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/434455>, განახლებულია: 10.08.2021.

³³ „ნიკა მელია პარლამენტს ტოვებს“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 29 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/434652>, განახლებულია: 10.08.2021.

³⁴ „ნიკა მელია პარლამენტს ტოვებს“, *საინფორმაციო პორტალი „ფორმულა“*, 2021 წლის 29 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/54395>, განახლებულია: 10.08.2021.

³⁵ „ზურა ჯაფარიძემ პარლამენტი დატოვა“, *საინფორმაციო პორტალი „პუბლიკა“*, 2021 წლის 28 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/zura-jafaridzem-parlamenti-datova/>, განახლებულია: 10.08.2021.

³⁶ იქვე.

³⁷ იქვე.

³⁸ აშშ-ის საელჩოს განცხადება, აშშ-ის საელჩო საქართველოში, ოფიციალური „Facebook“ გვერდი, 2021 წლის 29 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xAsGDA>, განახლებულია: 10.08.2021.

³⁹ იქვე.

ბული რეფორმები საქართველოს ინტერესებს ვერ დაიცავდა.⁴⁰

აშშ-ის სენატის სენატორებმა ჯინ შაჰინმა, რონ ჯონსონმა, ჯიმ რიშმა, ბენ კარდინმა, რობ პორტმანმა, კრის ვან ჰოლენმა და ჯონ ბარასომ ერთიანი განცხადებით გააკრიტიკეს მმართველი პარტიის ნაბიჯი.⁴¹ მათი განცხადებით, პარლამენტში ინკლუზიური და მრავალპარტიული პროცესის წარმართვის პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, „ქართულ ოცნებას“ ეკისრებოდა.⁴² მათ ხაზი გაუსვეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარების აუცილებლობას, აგრეთვე, სამართლის უზენაესობის განმტკიცებისა და კრიტიკულად მნიშვნელოვანი საარჩევნო და მართლმსაჯულების რეფორმების გატარების მნიშვნელობას.⁴³ სენატორებმა ასევე აღნიშნეს, რომ დემოკრატიის წინსვლის შეჩერება საფრთხე უქმნიდა საქართველოს სწრაფვას ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისკენ და აზიანებდა აშშ-საქართველოს ურთიერთობას, რითაც მხოლოდ კრემლი სარგებლობდა.⁴⁴

29 ივლისს ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ 19 აპრილის შეთანხმებიდან გასვლის შემდეგ იგი ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციებს იწყებდა.⁴⁵ მისი თქმით, ის კვლავ დარწმუნებული იყო, რომ 19 აპრილის შეთანხმება საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისა და რეფორმების დღის წესრიგის გაუმჯობესების საუკეთესო გზას წარმოადგენდა.⁴⁶ მან მხარეებს მოუწოდა, რომ პირველ რიგში დაეყენებინათ საქართველოს მოქალაქეების ინტერესები და ეზრუნათ დემოკრატიული ინსტიტუტების ფარგლებში პოლიტიკური დისკურსის გაუმჯობესებაზე.⁴⁷

ევროპარლამენტარებმა მარინა კალიურანდმა, სვენ მიკსერმა და ვიოლა ფონ კრამონმა 29 ივლისის ერთობლივი განცხადებით იმედგაცრუება გამოხატეს „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილების მიმართ და მოუწოდეს მას, შეთანხმებას დაბრუნებოდა.⁴⁸ მათ აღნიშნეს, რომ პოლიტიკური პროცესების შეფერხებაში პასუხისმგებლობა იმ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებსაც ეკისრებოდათ, რომლებმაც 19 აპრილის შეთანხმებას ხელი არ მოაწერეს.⁴⁹

ევროპარლამენტარმა ვიოლა ფონ კრამონმა მედიასთან განცხადებაში აღნიშნა, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც „ქართული ოცნება“ პირობას ტყუბდა.⁵⁰ მისი თქმით, ევროკავშირის მედიაციით მიღწეული შეთანხმებიდან გასვლა მმართველ პარტიას არასანდო პარტნიორად აქცევდა.⁵¹

ოცზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია 19 აპრილის შეთანხმებიდან „ქართული ოცნების“ გასვლას ერთობლივი განცხადებით გამოეხმაურა.⁵² ორგანიზაციების განცხადებით, მმართველი

⁴⁰ იქვე.

⁴¹ „Shaheen, Johnson Lead Bipartisan Statement on Breakdown of Georgian April 19 Agreement“, *სენატორ ჯინ შაჰინის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 28 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XfllX2>, განახლებულია: 10.08.2021.

⁴² იქვე.

⁴³ იქვე.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ „Statement by president Charles Michel on the political situation in Georgia“, European Council, 29 July 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3INObhQ>, განახლებულია: 10.08.2021.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ „Joint statement by the Chair of the Delegation for relations with the South Caucasus, MEP Marina KALJURAND, the European Parliament’s Standing Rapporteur on Georgia, MEP Sven MIKSER, and the DEG Lead Member on Georgia, MEP Viola VON CRAMON-TAUBADEL on Georgian Dream’s decision to withdraw unilaterally from the 19 April agreement“, European Parliament, 29 July 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xLmKrD>, განახლებულია: 10.08.2021.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ „ევროპარლამენტარი: ევროკავშირს მოუწევს, გადახედოს ურთიერთობებს საქართველოს მთავრობასთან“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 31 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/435071>, განახლებულია: 10.08.2021.

⁵¹ იქვე.

⁵² „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილება საფრთხეს უქმნის საქართველოს სტაბილურობას და მომავალს“, *საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 28 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yAEcjv>, განახლებულია: 10.08.2021.

პარტიის გადანყვეტილება ემსახურებოდა ძალაუფლების შენარჩუნების სურვილს და ის კიდევ უფრო აღრმავებდა პოლიტიკურ პოლარიზაციას.⁵³

„ქართული ოცნების“ გადანყვეტილება კრიტიკულად შეაფასა საიამ. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ დოკუმენტზე ხელმოწერით მმართველმა გუნდმა შეთანხმების შესრულებისა და ამბიციური დემოკრატიული რეფორმების გატარების ვალდებულება აიღო, რაც არა მხოლოდ მისი კეთილი ნება, არამედ მისი, როგორც ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალის, მოვალეობა იყო.⁵⁴ მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმებას პარტიების ნაწილმა, მათ შორის, ყველაზე დიდმა ოპოზიციურმა ძალამ ხელი არ მოაწერა, რასაც საია ყოველთვის აკრიტიკებდა, ეს ვერ გაამართლებდა „ქართული ოცნების“ გადანყვეტილებას, რაც გამოიწვევდა საზოგადოებაში პოლარიზაციის ხარისხის გაზრდას, წინასწარჩვენო გარემოს კიდევ უფრო მეტად დაძაბვასა და პოლიტიკური კრიზისის გაღრმავებას.⁵⁵ საიას აზრით, შეთანხმების ანულირებით „ქართულმა ოცნებამ“ უარი თქვა დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებასა და პოლიტიკური კრიზისის დაძლევაზე.⁵⁶

პოლიტიკური პარტიების მიერ მერობის კანდიდატების დასახელება

23 ივლისს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, ნიკა მელიამ განაცხადა, რომ ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დედაქალაქის მერობაზე იყრის კენჭს.⁵⁷ მან ასევე აღნიშნა, რომ ძალებს პოლიტიკური მოძრაობა „დროას“ დამფუძნებელ ელენე ხომტარიასთან გააერთიანებს, რომელიც, თავის მხრივ, დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი იქნება.⁵⁸ ნიკა მელიას თქმით, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე ვიცე-მერის კანდიდატად დასახელდება, ხოლო ნაციონალური მოძრაობა თბილისში მხარს ოპოზიციის შეთანხმებულ მაჟორიტარობის კანდიდატებს დაუჭერს.⁵⁹ ნიკა მელიას და ელენე ხომტარიას კანდიდატურებს მხარდაჭერა ოპოზიციური პარტიებიდან „ევროპულმა საქართველომ“ და „გირჩი - მეტი თავისუფლებამ“ გამოუცხადეს.⁶⁰

30 ივლისს „ქართულმა ოცნებამ“ პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართულ ბრიფინგზე ოქტომბრის არჩევნებისთვის მერობის კანდიდატები წარადგინა.⁶¹ დედაქალაქის მერობის კანდიდატად მოქმედი მერი კახა კალაძე დასახელდა.⁶²

⁵³ იქვე.

⁵⁴ „ხელისუფლების გადანყვეტილება 19 აპრილის შეთანხმების ანულირების შესახებ საქართველოს დემოკრატიული განვითარების ინტერესებს ეწინააღმდეგება“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 28 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2X8EIY9>, განახლებულია: 10.08.2021.

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ იქვე.

⁵⁷ „ნიკა მელია თბილისის მერობისთვის იბრძოლებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 24 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/433836>, განახლებულია: 10.08.2021.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ იქვე.

⁶¹ „ქართულმა ოცნებამ“ მერობის კანდიდატები წარადგინა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 30 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/434839>, განახლებულია: 10.08.2021.

⁶² იქვე.